პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 31 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 120 (818)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## დაეწაფე საბანაკო სწავლებას, განამტკიცე სოფელთან კავშირი.

ჩვენი წითელი ჯარის ნაწი-ების ბანაკში გასვლა უკვე ასრულდა.

თვით ბანაკიც მოეწყო ყოველ-რივ. ყველაფერი მზადაა. საჭიროა მხოლოდ სამხედრო ავლებისათვის და ყველა იმ ოცანების განხორციელები-თვის ხელის მოკიდება, რო-ლიც წინ უძევს წითელ არს.

ამოცანები კი ბევრია.

სამხედრო საქმის კარგათ თვისება, რევოლიუციონუ-ი დისციპლინის მეტი გან-კიცება, პოლიტიკური ცოდ-ს გაღრმავება, სოფელთან იდრო კავშირის გაბმა და ვა.

ყოველივე ამის შესრულება იძლება მხოლოდ იმ შემ-ვევაში, თუ ჩვენი წითელი მიელები გაასკეცებული ენერ ით და ძალღონით შეუდგე-ან საზაფხულო სწავლებას.

როგორც ვსთქვით სამუშაო ვრია, ხოლო საბანაკო პერიო-ი არც ისე დიდია. ამიტომაც ც ერთი წუთი, არც ერთი თი ტყუილა უბრალოდ არ და იქმნას გაცდენილი. თი-ული შემთხვევა დაყოვნების, ლგრილობის მხოლოდ დაა-კოლებს საზაფხულო სწავ-ებას. ეს კარგად უნდა ახსო-ეს ჩვენ წითელ-არმიელს.ამი-ომაც მან ერთ წუთს არ უნ-ი დაივიწყოს თავისი მოვალე-ბა მუშურ-გლეხური ხელის-ფლების წინაშე.

ეს მოვალეობაა—საბჭოთა კა-შირის ინტერესების სადარა-ზედ მხნედ ყოფნა და მშ-ომელთა ხალხის მიერ მოპოვე-ლი თავისუფლების ღირსეუ-ად დაცვა. მხოლოდ ამ მო-ლეობის შესრულება კი შეი-ძლება დაუღალავი, გულმოდ-გინე სამხედრო სწავლებით და წითელი არმიის რიგებში სას-ტიკი რევოლიუციონური დის-ციპლინის დაცვით. თითეული წითელი-არმიელი უნდა სცდი-ლობდეს, რომ დანარჩენების-თვის მაგალითი გახდეს, როგო-რც ჩინებული მოქალაქე—მეო-მარი.

ზარმაცობის, გულგრილობის უწესობის, არამზადობის ყო-ველგვარ შემთხვევას მტიცედ უნდა შეებრძოლონ თვით წი-თელ-არმიელებმა. ყოველივე ჩამორჩენილ ამხანაგს შეგნე-ბულ წითელ-არმიელმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ის გაუ-სწორდეს სხვებს.

ჩვენმა წითელ არმიელებმა აგ-რეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ წითელი ჯარის და სოფლის დაახლოების საქ-მეში. ისინი როგორც შეგნე-ბული მეომრები მუშურ-გლე-ხური არმიისა, უნდა გახდენ კომუნისტური პარტიის და საბ-ჭოთა ხელისუფლების იდეების საუკეთესო გამტარებლები სო-ფლად, როგორც ეხლა ბანაკ-ში, ისე შემდეგში უვადო შვე-ბულებაში წასვლის შემდეგ.

თავის წესიერი მოქცევით და ძმური დამოკიდებულებით წითელ-არმიელებმა უნდა აგრ-ძნობინონ გლეხებს, რომ წი-თელი არმია მათი ინტერესების და თავისუფლების დამცველი არმია არის.

ასეთია ის ამოცანები, რომ-ლებიც დგანან თითეულ წი-თელ-არმიელის წინაშე საბანა-კო პერიოდში.

ჩვენმა წითელ-არმიელებმა ღირსეულად უნდა შეასრულონ ისინი.

## გადაუდებელი ამოცანა.

### „იზვესტიას“ წერილი.

ამ სათაურით პურის დამზა-ების კამპანიის შესახებ გაზ. იზვესტია“ სწერს:

„უნდა გვახსოვდეს, რომ ლეხის საქონელის ზრდის ტე-ი საგრძნობლად რჩება უკან ენი მრეწველობის განვითა-ების ტემპს.

ჩვენ აუცილებლად უნდა ვაწიოთ სოფლის მეურნეო-ქალაქის ინდუსტრიას.

ჩვენი პარტიის პოლიტიკას-ან შეფარდებით საბჭოთა კა-შირის მესამე საბჭოთა ყრი-ობამ სოფლის მეურნეობის ალებისა და განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ ურჩია მთავრობას „გააგრძელოს ფა-სების დაკლების პოლიტიკა გლეხების მიერ ხმარებულ სა-ხელმწიფო მრეწველობის სა-გნებზე, შეუმსუბუქოს გლეხო-ბას თავის საქონლის გაყიდვის შესაძლებლობა იმ ფასებში, რომლებიც დაჰფარავს მის ხარ-ჯებს და მისცემს მას მეურ-ნეობის განვითარების საშუა-ლებას.“

ყოველ ფუთ პურს, რომელ-საც გაანაღდებს ბაზარზე გლე-ხი, ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ გლეხისთვის საჭირო სათანადო რაოდენობის მრეწველობის პროდუქტები.

საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას სათანადო ზომები, რა-თა არ მოვხვდეთ ისეთ მდგო-მარეობაში, როგორც წასულ პურის დამზადების კამპანიის დროს, როცა ჩვენი პურის დამზადებული რაიონები დიდ-ხანს განიცდიდა საქონლის შიმშილს.

ამასთან ერთად ჩვენ კარ-გად უნდა შევუთანხმოდ ჩვე-ნი დამზადებითი გეგმა მთლია-ნი სასოფლო სამეურნეო გა-დასახადის აკრეფის ვადას.

ამ წელში ჩვენ წინ გვიძევს დიდი საპასუხისმგებლო მუშა-ობა. ჩვენ ამ მუშაობას წარმა-ტებით შევასრულებთ, თუ რომ თავის დროზე მოვემზადებით და შეუდგებით საქმეს“.

# ახალი რადიო-ამბები

## საქართველოს საწარმოო ძალების განვითარებისათვის

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენი მოხსენების თანახმად მიიღო დადგენილება,—რომ

1) თუთხმეტი ივნისისათვის გამოტანილი იქნეს დასკვნა ფერრო-მარგანეცის შესახებ,

2) დაევალოს ცენტრალურ საქაღალდო ტრესტს („ცენტრობუმტრესტს“) გაგზავნოს საქართველოში სპეციალისტები ქაღალდის ქარხნის მოწყობის საკითხის გამოსაკვლევად,

3) წარმოდგენილი იქნეს პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვა ორი ხე—ტყის სახერხი და ხის სახდელი ქარხნის,

4) შემუშავებული იქნეს პროექტი შალის ქარხნის მოწყობისა,

5) მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი მოწყობა ბარიტის წისქვილისა და მინერალური საღებავების ქარხნისა,

6) წარმოდგენილი იქნეს ორი კონიაკის ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვა,

7) შემუშავებული იქნეს ტყვიბულის ქვანახშირის რაციონალურად გამოყენების პროექტი, შეშის ნაცვლად ამ ქვანახშირის მოხმარების მიზნით,

8) შესწავლილი იქნეს ცემენტის ქარხნის მოწყობის და აბრეშუმის დამუშავების საქმე.

ჟოჟიკაშვილი, კიკნაძე.

## ახალი მკვლელობანი ბულგარეთში.

ბულგარეთიდან ვენაში გადახვეწილები იტყობინებიან ახალ მკვლელობათა შესახებ ბულგარეთში. მოკლული არიან: ივანე მედელკოვი, სოფიაში მყოფი როსტას ყოფილი კორესპონდენტი შადრინი და სტამბოლინსკის მთავრობის ყოფილი იუსტიციის მინისტრი იანოვი.

## ბულგარეთის მთავრობა სიკვდილის ცელივით ცელავს მშრომელთა რიგებს.

სასამართლოები განუწყვეტლივ მუშაობენ—სწარმოებს აუარება დაპატიმრება.

ბულგარეთის სამხედრო სასამართლოები განუწყვეტლივ მუშაობენ. ფილიპპოპოლში 7 კაცს მიუსაჯეს სიკვდილი ვითომდა სოფიის ტაძრის აფეთქებაში მონაწილეობისათვის. სოფიაში დაჭერის დროს მოკლეს ვექილი გაშევი, რომელიც ვითომც ბულგარეთის კომპარტიის შეიარაღების განყოფილების მეთაური იყო. სოფიის გაზეთები აქვეყნებენ ცნობას შეთქმულთა ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ, რის გამოც ვარნაში დააპატიმრეს 144 კაცი, პლევენში—10, გორნაია რეჩოვიცაში—40. ტიროვოში და ვრატცეში დიდძალი ხალხი დაიჭირეს ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან.

## მოწოდება აღმოსავლეთისა და კოლონიალურ ქვეყნების გლეხთა მიმართ.

გლეხინტერნის მოწოდებაში აღმოსავლეთისა და კოლონიალურ ქვეყნების გლეხთა მიმართ ნათქვამია:

„გლეხთა საერთაშორისო საბჭომ უნდა გააერთიანოს ყველა ქვეყნების გლეხობა. თუ თქვენს ქვეყანაში არ არსებობს გლეხთა კავშირი, შეჰქმენით ის. დეე, თქვენი დელეგატები მოვიდენ ჩვენთან, რათა გავაცნოთ ერთმანეთს მდგომარეობა და შეერთებული ძალით მოუღოთ ბოლო აღმოსავლეთისა და კოლონიების მოძმე-გლეხთა უსაზღვრო ჩაგვრას“.

## საბჭოთა პროფკავშირები ინგლისის პროფკავშირებს.

ლენინგრადის პროფკავშირთა „მეექვსე საგუბერნიო ყრილობამ გაუგზავნა ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს რადიოგრამა, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ თქვენთან ერთად ვეცდებით ყოველგვარ დაბრკოლებათა დაძლევას და შევქმნით ძლიერ მსოფლიო ორგანიზაციას, რომელშიც გაერთიანებულ იქნება მთელი ქვეყნების პროლეტარები“.

## პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმე.

კიევში დაიწყო პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმე, რომელიც მოქმედებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სასამართლომ დაჰკითხა რამოდენიმე ბრალდებულს, რომელთა შორის ბევრს ებნევა ჩვენება. როგორც გამოირკვა ერთი მთავარ ორგანიზატორთაგანი არის ბელავინი.

დაკითხული ბრალდებულები გროტი და ვებერი აცხადებენ, რომ ბელავინის დღევანდელი ჩვენება მათთვის სრულიად უცხოა.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

ინგლისის ელჩმა გადასცა ბრიანს ნოტა გერმანიის წინადადების შესახებ საგარანტიო ხელშეკრულებაზე.

საფრანგეთის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის პასუხი უმთავრესად აკმაყოფილებს საფრანგეთს, მაგრამ საჭიროა ზოგიერთი დამატებითი განმარტების შეტანა.

## გაფიცვები ბერლინის საავტობუსო ხაზებზე.

29 მაისს ბერლინში იფეთქა გაფიცვებმა საავტობუსო ხაზებზე. მუშა-მოსამსახურეები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და 9 საათის სამუშაო დღეს 9 ნახ. საათის მაგივრად.

მოსალოდნელია აგრეთვე მიწის ქვეშა რკინის გზის მუშამოსამსახურეთა გაფიცვები.

ორშაბათს, ივნისის 1-ლს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის საბჭოს ყველა სექციების ბიუროს შეერთებული სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) საბჭოს სექციების მუშაობის გეგმის განხილვა
2) სექციის წევრების განაწილება.

ყველა სექციის ბიუროს წევრების და კანდიდატების, სექციის თავმჯდომარეების და ქვე-სექციების მუშაობის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

**ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.**

## ნანსენის გეგმა.

ცნობილმა მოგზაურმა ქრისტეფორე ნანსენმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინში და კავკასიაში მიემგზავრება, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა რომ მისი ბერლინში შეჩერების მიზანია მოლაპარაკება დიდი ცეპელინის აგების შესახებ. ამ ცეპელინით ის აპირობს ექსპედიციის მოწყობას გარისის მიწის გამოსარკვევად, რომელიც იმყოფება ალიასკასა ჩრდილოეთ პოლიუსის შორის.

ამუნდსენის ბედის შესახებ ნანსენმა განაცხადა, რომ ყოველი შიში ნაადრევია.

## მოიწონეს მთავრობის ყაჩაღური პოლიტიკა.

საფრანგეთის პალატაში შეტანილ იქნა შეკითხვა მთავრობის პოლიტიკის შესახებ მაროკოში. დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## სრულიად საკავშირო პიონერთა თათბირი.

28 მაისს ლენინურ ახკომკავშირის ცეკასთან გაიხსნა პიონერ მომუშავეთა თათბირი.

თათბირზე აღნიშნულ იქნა პიონერთა მოძრაობის ძლიერი ზრდა. მე-4-ე ყრილობიდან უკანასკნელამდი ითვლებოდა 200.000 პიონერი, დღეს მათი რიცხვი უდრის 1.300.000.

მოძრაობა გადავიდა სოფლადაც; 30.000-დან გაიზარდა 400.000-დი.

მოხსენებით გამოვიდა კრუპსკაია, რომელმაც აღნიშნა ნაკლი პიონერთა ორგანიზაციაში წევრთა მიღების საქმეში. ჩვენში პიონერები არ ღებულობენ თავიანთ რიგებში არამც თუ ბურჟუაზიის შვილებს (რომლებიც არ არიან დამნაშავენი მშობლების ცოდვებში), არამედ წვრილ ხელოსანთა შვილებსაც. ეს შეცდომაა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშაობის განაწილების წესებს პიონერთა შორის.

რაც შეეხება პიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელობას, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ მხრივ კომკავშირელები უფრო შესაფერისი ხელმძღვანელებია, ვინაიდან ბავშვები უფრო უთვისდებიან მათ ახლობელ ჰასაკს.

პიონერთა მოძრაობას უნდა უხელმძღვანელოს კომკავშირმა.

## ოქრო-ნარევი სილა.

სოფელ ლისტვინიჩნის მახლობლად (ბაიკალის ტბის ნაპირად) აღმოჩენილ იქნა ოქრო ნარევი სილის ფენა, ერთი საჟენის სისქით.

ასი ფუთი სილა იძლევა დაახლოებით ნახევარ მისხალ ოქროს.

## საგლეხო სესხის განაღდება.

საგლეხო სესხის განმეორებითი განაღდება წარმატებით მიდის. 24 მაისამდი განაღდებულია 11 მილიონ მანეთზე მეტად დირებული ობლიგაციები.

## საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმსკომებს.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასკომმა მიმართა საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს წერილით, რომელშიაც მიუთითებს, რომ მიმდინარე წელს საგლეხო სესხის განაღდებაში საჭიროა:

დაუახლოონ ობლიგაციები სოფლებს, დააჩქარონ განაღდების ტემპი, მისცენ გლეხობას შეღავათებისა და უპირატესობის მეტი ნაწილი და აღმოფხვრან ყოველგვარი ცდები სესხის ძალდატანებითი განაწილებისთვის აშკარა თუ არა პირდაპირი გზით.

# ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ.

### სპორტი ბანაკში.

ყოველი სამხედრო პირი, რომელიც ემზადება მომავალ ომებისათვის, უნდა ვარჯიშობდეს სასპორტო საქმეშიც. სპორტი იძლევა საშუალებას ადვილად დასძლიოს საბრძოლო ცხოვრების ყოველგვარ სიძნელეს.

ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები და გასულმა ზამთარმა, მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებისა, მაინც მისცა ერთგვარი სასპორტო ცოდნა ახალწვეულებს.

დადგა საზაფხულო პერიოდი, როცა გაცხოველებით უნდა სწარმოებდეს საბრძოლო სამსახურის სხვადასხვა სახის მეცადინეობა. არ შეიძლება დავივიწყოთ სპორტიც.

სპორტის ყველა სახეები (ხოლო ეს სახეები მეტად ბევრია და ყოველ მათგანს აქვს თავისი თავისებურობა და დანიშნულია სამხედრო მოსამსახურის ამა თუ იმ საბრძოლო თვისების გასავითარებლად) ფართედ უნდა იქნას განვითარებული ყოველ ნაწილში ზაფხულის პერიოდში. კერძოდ სპორტი ბანაკში გამოიხატება შემდეგში:

**მსუბუქი მძლეოსნობა:** სირბილი 100-დან 400 მეტრამდი, რომელიც აჩვევს ჩქარ გადარბენას და სასარგებლოა აგრეთვე იმით, რომ მტერი ვერ ამოიღებს მეომარს გადარბენის დროს მიზანში და მასთან ნაკლებ გასროლას მოასწრებს; გარბენა 100 მეტრზე, რომელიც იძლევა საშუალებას ადვილად გაირბინოს მეომარმა მომქმედი თოფის ცეცხლის ზოლი. სირბილი 1000 მეტრზე ზევით, რომელიც მეომარს აჩვევს ამტანობას, რაიც აუცილებელია ლაშქრობისა და ბრძოლის დროს.

**სხვადასხვა გვარი ხტომ**[ა] (სიგრძეზე, განზე, ალმა) რო-გორც გარბენით, ისე ადგილიდან ავითარებს მეომარში დაბ-რკოლების დაძლევის უნარს დ-ის არ შესდგება თხრილის, ღო-ბის, ღელისა და სხვა დაბრკო-ლებათა წინაშე.

**ბადროს ტორცხნა** ავითა-რებს და აჩვევს მეომარს შო-მანძილზე გრანატის ტყორ-ცნას.

მსუბუქი ატლეტიკის გარდ-სამხედრო საქმეში სასარგებ-ლოა სხვადასხვა თამაში, სავე-ლე გიმნასტიკა და ცურვა. თამაში, განსაკუთრებით ფეხბ-რთი, ხელბურთი დასხვა გარდ-ჩქარი სირბილისა, აჩვევს მეო-მარს მამაცობას, გამბედაობას, მოხერხებას, ამტანობასა დ-სხვას, რაც მეტად სასარგებ-ლოა ყოველ სამხედრო პირი-სათვის.

**მინდვრის გიმნასტიკა** სა-შუალებას აძლევს მეომარს გა-ნსაკუთრებული შრომის დაუ-ხარჯავად გადალახოს ყოველ-გვარი დაბრკოლება, რომლე-ბიც შეხვდება მას ომის დროს.

**ცურვაც** სასარგებლო ვარ-ჯიშობაა, რაც ყოველ მხრი-ავითარებს კაცს და საშუალე-ბას აძლევს მას გადალახო-დაბრკოლებანი (წყალზე, ტბა-ზე).

სპორტის სხვადასხვა სახეე-ბის ჩამოთვლით ჩვენ აქ მხედ-ველობაში გვქონდა მოგვეგო-ნებია, როგორც მეთაურთათ-ვის, ისე ყველა მეომრებისათ-ვის სპორტის საჭიროება, (გან-საკუთრებით ბანაკში) და სპო-რტის ის სახეები, რომლები-აუცილებელი საჭიროა ყოველ-სამხედრო მოსამსახურისთვი-და რომლებიც არ მოითხოვე-განსაკუთრებულ ხარჯებს მა-ჩასატარებლად.

ი. ბარ.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘ.

### ᲚᲘᲢᲕᲐ.

**ეკონომიური მდგომარეობა.** ლიტვას მოსახლეობის მხოლოდ 14 პროც. სცხოვრობს ქალაქად, დანარჩენი კი ხვდება სოფლად მცხოვრებლებს. მიწათა უმეტესობა შეადგენს მსხვილ და საშუალო მიწადმფლობელთა საკუთრებას. მცირე მიწათა და უმიწო გლეხთას რაოდენობა ძლიერ დიდია. აგრარული (მიწის) საკითხი მოუგვარებელია, რადგან ი ძლიერ დაკავშირებულია ლიტვა—პოლონეთის საკითხთან, ვინაიდან მიწის დიდი უმეტესობა ეკუთვნის პოლონელებს. მაგ. კოვნოს გუბერნიაში მსხვილ მიწათა მე აკუთრეების 75 პროც, შეადგენენ პოლონელები. ამ ჟამად, მთელი ლიტვას ტერიტორიის 46 პროც. იხმარება სახნავად, საძოვრად და სათიბავად 24 პროც. ტყეებს უკავია 20 პროც. და ბოლოს 10 პროც. გამოუსადეგარია. მართალია ომმა ზარალი მიაყენა ლიტვას სასოფლო-მეურნეობას და მესაქონლეობას, მაგრამ ეხლა ისე ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, რომ სულ ახლო მომავალში დაიკავებს ომამდე არსებულ მდგომარეობას. ლიტვას მრეწველობა ძლიერ სუსტია, გადასამუშავებელ მასალის და ქვა-ნახშირის უქონლობის გამო.

ამიტომაც მრეწველობის აღორძინების საქმე ძლიერ ნელა მოდის. ლიტვას **ფინანსები** მართალია, ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაში, მაგრამ შედარებით მის მეზობელ სახელმწიფოებთან, კიდევ უკეთესს პირობებშია. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით. 1921 წლიდან ლიტვაში გადიოდა განსაკუთრებული გერმანული მარკები, რომლებიც სპეციალურად გერმანიის მიერ გამოშვებულ იქმნა ოკუპაცია ქმნილ ოლქებში. იმ ხანებში კი როდესაც გერმანული მარკა კატასტროფიულად დაექანა ძირს ლიტვამ შემოიღო თავის ფულის ერთეული. აქაური ფულის ერთეული ლიტ უდრის ერთი მეათ. დოლარის ას ან 20 კაპ. ოქროსას, რომლის მარაგი ლიტვას ხაზინაში სრულებით არ მოიპოვება. ლიტვას ბ უდჯეტი, როგორც დანარჩენ ბალტიის პირა მდებარე სახელმწიფოისა, მუდამ საგრძნობ დეფიციტით სრულდება. ეს აიხსნება იმ უამრავ ხარჯით, რომელსაც სწევს ლიტვა მილიტარიზმის (შეიარაღების) გასაძლიერებლად.

ლიტვას არმია 50 ათასამდე აღწევს და მას მიაქვს სახელმწიფოს (შემოსავალის) ბიუდჯეტის მთელი 65 პროც.

**ლიტვას საგარეო ვაჭრობაზე** ნამდვილ წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი ციფრები:

1920 წ. შემოტანა 321.800.
1921 წ. შემოტანა 631.700.
1922 წ. შემოტანა 3.047,200.
1920 წ. გატანა 428.700.
1921 წ. გატანა 876.900.
1922 წ. (9 თვე). გატანა 2.729.500.

აქედან ცხადია, თუ რა ჩქარი ნაბიჯით მიდის ლიტვას საგარეო ვაჭრობა. ის უმთავრესად ვაჭრობს გერმანიასთან.

შემოტანის საგნები: მანუფაქტურა, შაქარი, მარილი და სასოფლო მეურნეობის გასანოყიერებლად ხელოვნური მასალა. გატანის საგნები: პური, კვერცხი, ერბო, ფრინველი, მატყლი, საკლავი საქონელი და სასოფლო მეურნეობის სხვა საგნები.

**მუშათა მოძრაობა.**

**კომუნისტები**, როგორც დანარჩენ ზღვის მდებარე სახელმწიფოებში, აქაც არალეგალურ პირობებშია. ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ, აქაურმა კომუნისტებმა საშინელი თეთრი ტერორი გადაიტანეს, რამაც მათ დიდი ფიზიკური და მორალური ზიანი მიაყენა.

1921 წლიდან დადგა კომპარტია სწორ ხაზზე, აქედან მოწყებული იწყება მისი გ ა ვ ლ ე ნ ი ს განუწყვეტელი ზრდა მუშათა მასებზე. პარტია სცემს მდიდარ ლიტერატურას სამ ენაზე, ლიტოვურზე, პოლონურად და რუსულად. ეკონომიური ბრძოლის სტიქიური ზრდა ხელსაყრელი პირობებს ქმნის კომპარტიის გავლენის გაფართოებისათვის.

**სოციალ-დემოკრატები** პირველ ხანებში დიდ გავლენით სარგებლობდენ მუშათა კლასზე და წვრილ ბურჟუაზიაზე, როდესაც კომპარტია ტაქტიკურ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ 1922—23-დან ის თანდათან კარგავს თავის მიმდევრებს, სამაგიეროდ ამათ ხარჯზე იზრდება პროლეტარიატის სიმპატიები კომპარტიისადმი. **პროფკავშირები** ორგვარი არიან ლიტვაში. პირველი ქრისტიანული იმყოფება კლერიკალურ—ბურჟუაზიულ ბლოკის გავლენის ქვეშ, მეორეში კი, კლასობრივ კავშირებში, ბრძოლაა უპირატესობისათვის კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ვილნოს ლიტვაში სოციალ-დემოკრატები სჭარბობენ, კოვნოში კი—კომუნისტები.

რამოდენიმე კავშირი შეუერთდა პროფინტერნს.

ნ.

## მცირე ვადიანი შვებულება და შვებულება ავადმყოფობის გამო.

სოფლად მინდვრის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, მტკივნეულ საკითხთაგანს შეადგენს შვებულების საკითხი.

შვებულების საკითხზე სათანადოთ გაუცნობლობას შეცდომაში შეჰყავს ამხ. ამხ. წითელ-არმიელები და, თუ უფროსებმა შვებულება ვერ მისცა, ფიქრობენ, რომ უშუალო უფროსები რაღაც მიზეზის გამო არ შედიან მათ მდგომარეობაში. მაგრამ საქმე ასე არ არის.

შვებულება იყოფა სამ კატეგორიად: 1. მოკლე ვადიანი შვებულება, 2. ხანგრძლივი შვებულება და 3. შვებულება ავადმყოფობის გამო ან ჯანმრთელობის აღსადგენად.

განვიხილოთ ეს თვითეული შვებულება ცალკ-ცალკე. მოკლე ვადიანი შვებულება ეძლევა ვადით მსახურ წითელ-არმიელთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობას განსაკუთრებული მიზეზების გამო, რომლებიც შემოწმებულ უნდა იქნან სათანადო საბუთებით. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც კი შვებულება არ უნდა აღემატებოდეს ნაწილის პირადი შემადგენლობის ერთ პროცენტს. პირველ შეხედვით გეჩვენება, რომ ერთი პროცენტი ძალიან ცოტაა, მაგრამ თუ დაწვრი-ლებით გავერკვევით ამ საკით-ხში, ვნახავთ, რომ განსაკუთ-რებული შემთხვევები, რომლ-ებიც მოითხოვენ სამხედრო მსახურის შვებულებაში წასვ-ლას, არც იმდენად ბევრია.

სამხედრო სამსახურში გამოწვეულთა ოჯახებზე მზრუნვე-ლობა დაკისრებული აქვს ად-გილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც ყოველმხრივი დახ-მარება უნდა გაუწიოს წითელ-არმიელის ოჯახს ამა თუ იმ უბედური შემთხვევისა და გა-ჭირვების დროს. ვსთქვათ, წა-ვიდა წითელ არმიელი რამოდენიმე დღით შვებულებაში, რა უნდა გააკეთოს მან თავის სამშობლოში (სოფელში)? ვე-რაფერსაც ვერ გააკეთებს! მან უნდა მიმართოს დახმარებისათ-ვის იმავე სოფლის საბჭოს (რო-ცა ეს საქმე სოფლის საბჭოს პირდაპირი მოვალეობაა) და მოაგონოს უკანასკნელს მისი მოვალეობა. ეს კი ნაწილიდან წაუსვლელად და სწავლებაზე მოუცდენლადაც შეიძლება, მით უფრო, რომ წითელ არმიაში სამსახურის ვადა მხოლოდ 2 წელიწადს უდრის.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**სლუჟილოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალი ტერ-შეკრებისათვის.

**1902 წელში დაბადებულთა მომავალი გაწვევა.**

1902 წ. დაბადებულ ახალწვეულებმა სამი თვის განმავლობაში (12 კვირა, კვირაში 20 სასწავლო საათი, სულ 240 საათი) უნდა გაიარონ (გარდა წვევამდელთა პროგრამის განმეორებისა) პოლიტცოდნა და სამხედრო განათლების კურსი, რასაც ეთმობა 3—3 საათი დღეში (ერთი საათი პროგრამის ზევით სამუშაო დღის 8 საათამდე გადიდების ხარჯზე) მცირე-მცოდნეებთან ან მეტად მცირე-მცოდნეებთან.

შემდეგი ამოცანებია დისციპლინარული, საგარნიზონო სამსახურის წესდებათა დამუშავება, შაშხანის—ტყვიამფრქვევის და ხელით სატყორცნ გრანატის დაწვრილებით შესწავლა; უნდა შეისწავლონ აგრეთვე საბრძოლო ვაზნებით კარგად სროლა, ხანდაკობა, საფარის აგება არტილერიის ცეცხლისაგან და შენიღბვა.

შემდეგ ახალწვეულთა მომზადების ამოცანაში შედის გაზებისა და მათგან თავდაცვის შესწავლა; გაზის საწინააღმდეგო საშუალებათა ხმარების შესწავლა და მუშაობის შეჩვევა ნიღაბში; და ბოლოს ბრძოლის წარმოების შესწავლა როგორც დამოუკიდებლად, ისე ათეულის და ოცეულის შემადგენლობაში; ლაშქრობისა და ზვერვის შესწავლა; შაშხანიდან, ხელით სასროლ და დაზგის ტყვიამფრქვევიდან მარჯვე სროლის შესწავლა და სხვა.

აი მოკლედ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეისწავლოს თვითეულმა ახალწვეულმა სამი თვის განმავლობაში.

ამოცანა საკმაოდ ძნელია და ამიტომაც მოითხოვს თვითეულ მეომრისაგან ენერგიისა და ძალის დახარჯვას.

სამუშაო მძიმეა, მაგრამ ასრულება შეიძლება. არმიის ეროვნულ ნაწილების მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა იწყებენ (ზოგიერთ ნაწილში უკვე დაიწყეს) პროგრამის წინასწარ დამუშავებას, რათა შემოიღონ პროგრამის გავლის წესი და გამოიმუშაონ თვით მუშაობის მეთოდები.

როგორც სჩანს, ეროვნულ ნაწილების მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობამ გაითვალისწინა მომავალი გაწვევის მნიშვნელობა და სიძნელენი, რომლებიც შეიძლება წამოიჭრან ადგილებზე სწავლების დროს. ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტერიტორიალურ მომზადების სათავე ამიერკავკასიაში საკმაოდ მტკიცეა და ამიერ კავკასიის მთელი მშრომელი მოსახლეობის მხურვალე მონაწილეობით მახლობელ წლებში ჩვენ მივაღწევთ დიდ შედეგებს.

ი. ბარ.

# საჭიროა გაზეთ „წითელ არმიელი" სოფლებისათვის.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც საქართველოში დაიწყო ტერიტორიალური ნაწილების ჩამოყალიბება.

მაგრამ ამ მოკლე ხანში ამ ნაწილებმა ნათლად დაანახვეს მშრომელ მოსახლეობას წითელ არმიის აღმშენებლობის ამ სახის უპირატესობა.

პირველი სანიმუშო მზადება მწვევამდელთა შორის ჩატარდა ნაყოფიერად.

ჩვენმა წერტებმა მტკიცე კავშირი დაიჭირეს გლეხობასთან, რაც გამოიხატება დარიგებაში, მატერიალურ დახმარებაში და ქოხ-სამკითხველოების დაარსებაში.

ჩვენი ნაწილების მიერ მომზადებულა მწვევამდელებს რომ არ დაავიწყდეთ, ამ მცირე ხანში შეძენილი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, საჭიროა მათთვის ჩვენი გაზეთ „წითელ არმიელის" მიწოდება, რომელიც იძლევა სამხედრო საქმის ცოდნას, წარსულ ჯარის ყოფა-ცხოვრების სურათის და საბჭოთა კავშირის და ბურჟუაზიული ქვეყნების მდგომარეობის გაშუქებას.

ამიტომ ეხლავე უნდა შეუდგეთ ჩვენი გაზეთის გამოწერას თემების და სოფლებისათვის, რომ სახლში დაბრუნებული ცვალებადელნი არ ჩამორჩენ წითელ ჯარის ცხოვრებას. ამ მიზნით ვიწერ თემისათვის 6 ცალს „წითელ არმიელს" და მოუწოდებ ჩემს ამხანაგებს, რათა იმათმაც გამოიწერონ თავიანთი სოფლებისათვის.

მებრძოლი.

# ჩვენი სამხკორები სამუშაოზე.

პირველ ლეგიონში სამხკორთა მუშაობა ამ ბოლო ხანებში თანდათან იზრდება და ფართოვდება. სამხკორთა წრეში ირიცხებიან, როგორც მეთაურები ისე წითელ მოლაშქრეები.

წრეს მიზნათ აქვს დასახული შეასწავლოს წრის წევრებს, რაც აუცილებელია სამხკორისათვის, გაწრთვნას ის და მისცეს სამხკორს მუშაობის სწორი გეზი.

28 მაისს შესდგა სამხკორთა წრის კრება, რომელზედაც მომავალი მუშაობის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხკორთა წრის ორგანიზატორმა.

კრების დასრულების შემდეგ მივიღეთ წიგნები თითეულმა სამხკორმა „როგორ უნდა მოეწყოს სამხკორთა ორგანიზაცია და როგორ უნდა იმუშაოს სამხკორმა."

ამავე კრებაზე ავირჩიეთ წრის პრეზიდიუმი 3 ამხანაგის შემადგენლობით.

ჩვენი წითელ მოლაშქრეებმა, რომელნიც ერთი წლის წინეთ მოვიდენ წით. ყაზარმებში, სამხედრო საქმესთან ერთად შეიძინეს, წერა-კითხვა და პოლიტიკური ცოდნა.

ზოგიერთი წით. მოლაშქრეებმა იმდენად წინ წაიწიეს, რომ დღეს სამხკორობენ ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელში"

ვიმედოვნებ რომ ჩვენი სამხკორები, პარტკორები და ტერკორები უფრო მეტის ენერგიით მოკიდებენ ხელს ამ დაწყებულ საქმეს.

სამხკორი **კინწურაშვილი.**

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენც გავედით საბანაკოდ.

1-ლი ქ. მ. ლეგიონიც გავიდა საბანაკოთ. ამ ნაწილის წითელ არმიელების უმრავლესობა არ იცნობდა საბანაკო ცხოვრებას და რაღაც უხერხულად მიაჩნდათ ყაზარმის მიტოვება.

მაგრამ ბანაკში მისვლის შემდეგ იგრძნეს სუფთა ჰაერი, ფართო და გაშლილი მიდამო და სხ.

ბანაკში უკვე დაიწყო ნორმალური პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა.

თავისუფალ დროს წითელ არმიელები მართავენ ცეკვას, მღერიან, აწყობენ ფეხბურთელთა შეჯიბრებას და სხ.

ეზოში გაწყობილია სახტომი ბილიკები ერთი საჟენის სიმაღლით, რკანისა და ხის სხვა და სხვა ტანთ სავარჯიშო იარაღები, აქვთ ბანაკის განაპირას სასროლი მოედანი, სადაც თითქმის მუდმივად სწარმოებს სროლა.

ყოველ დღიურად ვღებულობთ ჟურნალ-გაზეთებს, რასაც წითელ არმიელები ჩრდილში დამსხდარი გულმოდგინეთ კითხულობენ.

ბანაკს მხოლოთ სასადილო შენობაში არა აქვს მაგიდები, რის გამო დიდ უხერხულობას გრძნობენ წითელ არმიელები.

იმედია ამ ნაკლს მიაქცევენ ყურადღებას ლეგიონის მესვეურები და გამოასწორებენ მას.

სამხკორი: **ივ. ბარმლაძე.**

## ვიმუშაოდ ერთად!

ქართულ მეთაურთა სკოლის ბიურო-კოლექტივმა 23 მაისს მოიწვია კრება № რაიონში მდგომ ეროვნულ სკოლების: ადერბეიჯანის, სომხეთის, რუსული 21 სკოლის და ამავე რაიონის სამოქალაქო ორგანიზაციების შემადგენლობის თანდასწრებით.

კრების მთავარი მიზანი იყო, გამოემუშავებიათ გეგმა ზემოხსენებულ ყველა ნაწილებს შეერთებულად, სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირისა და გლეხობაში მუშაობის გაძლიერების შესახებ.

კრებას 800-ზე მეტი კაცი დაესწრო.

კრების თავმჯდომარე მოუწოდებს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ ქართ. შეერთ. სკოლის ყოფ. პოლიტ-ლექტორის და კომკავშირს აქტიური წევრის ამხ. ევტიხი ვაშალომიძის უდროოდ გარდაცვალებას.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირისა და გლეხობაში მუშაობის მნიშვნელობაზე ქ. მეთ. სკოლის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. რამიშვილი.

ამავე საკითხზე სიტყვებით გამოდიან სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც და გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საკითხის ირგვლივ.

აზრთა გაცვლა—გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა შეერთებული ძალით განახორციელონ შეფობა სოფელზე და მით მჭიდროთ დაუახლოვდენ გლეხობას.

ი. **მაისაია.**

## რა წითელი-არმიელია ის, რომელმაც შაშხანის ხმარება არ იცის!

**მეხუთე ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის ფურნეში მუშაობს 8 კაცი, რომლებსაც სამხედრო საქმის არა გაეგებათ რა. პურის საცხობში გამუდმებულად მუშაობას ისინი სრულიად ჩამოუშორებია სამხედრო საქმისათვის.

ერთ დღეს შემთხვევით მომიხდა შაშხანით შევლა პურის საცხობში.

ამხანაგებმა გამომართვეს შაშხანა და მოინდომეს მისი დაშლა.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ვერც ერთმა მათგანმა შაშხანას ასავალ-დასავალი ვერ გაუგეს.

ლეგიონის მესვეურებს არ ეპატიება მათი ასე უყურადღებოთ მიტოვება.

სულ ხომ პურის საცხობში არ მოხვდებიან (მაგ. ომიანობის დროს) და რა უნდა ქნან მათ მაშინ, როცა შაშხანის არაფერი არ გაეგებათ.

ეს დაუშვებელი მოვლენა ლეგიონში მოითხოვს ჩქარა გამოსწორებას. თუ შეუძლებელია მათი პურის საცხობში მუშაობის შემდეგ, სამხედრო საქმისაც გააგებიონ რაიმე, მაშინ საჭიროა მორიგეობით ხდებოდეს იქ მუშაობა, და უეჭვი წითელ არმიელებიც აღარ გვეყოლება.

მათაც შეასწავლეთ სამხედრო საქმე.

სამხკორი **ტრაქტორი.**

## ჩვენი კოოპერატივი გამოკეთდა.

**პირველი ლეგიონი.**

ამ უკანასკნელ ხანებამდე, ჩვენი კოოპერატივი ვერ აკმაყოფილებდა წითელ არმიელთა ფართო მასის მოთხოვნილებას. გაზეთის ფურცლებზედაც არა ერთხელ და ორხელ იყო აღნიშნული ეს გარემოება.

ბანაკად გასვლის შემდეგ, კოოპერატივი ძლიერ გამოკეთდა. ამ ჟამად ყველა, ჩვენთვის საჭირო საგნები ბლომად მოიპოება დუქანში.

ყოველ კვირაში ივსება დუქანი საჭირო საგნებით. პური კი ყოველ დღიურად მოდის.

წითელ არმიელებში საერთო კმაყოფილებას იწვევს ეს გარემოება. იმედია კოოპერატივის გამგე შემდეგშიაც ასე განაგრძობს და არ მოგვაკლებს პირველ მოთხოვნილების და აუცილებლად საჭირო საგნებს.

სამხკორი **გ. ჩ—ლი.**

## ბანაკში.

**ჩვენი საშეფო მუშაობა.**

24 მაისი—კვირა. მშვენიერი დღეა. კურსანტებმა დილითვე ადრე სოფლის ზოგიერთ ეზოებში „კვირაობა" მოაწყვეს.

გლეხები ქვიშის მოსატანად—კამეჩების შებმაზე უარს ამბობენ. არ ესმით, რომ სამხედრო მოაგარაკენი—მათი (გლეხობის) ეზოებს ასწორებენ, ალამაზებენ და ამაგრებენ.

ერთ გლეხს მუშაობის დროს ურმის ღერძი გაუტყდა (ძალზე ძველი და გაცვეთილი იყო).

გლეხმა უკმაყოფილოდ აღნიშნა: „მა რა მომივიდოდა—კვირა დღეს რომ შამაბმევინეთ კამეჩებიო".

მას ზოგიერთმა უმწყობრო გუნდის წითელ არმიელებმა კვერი დაუკრეს.

ჩვენ ისინი გავაწითლეთ: „აი, სხვა ურმებიც ხომ კვირა დღეს შევაბით—რატომ არ დაიმტვრენ?".

— ცრუმორწმუნეობა და ძველი ჩვეულებები, რომელნიც არ გვარგიან უნდა დავკმოთ.

„საკვირაობო" მუშაობა 3-4 საათში გათავდა და გლეხებიც კმაყოფილი დარჩნენ.

სხვებიც მიჰყოფენ ხელს ამ მაგალითს, რომ მათაც გასწორებული, გასუფთავებული და გალამაზებული ეზოები ჰქონდეთ.

—

სადილის შემდეგ ქართ. მეთაურთა სკოლის პირდაპირ—მინდორზე შეიკრიბენ თათრული, სომხური და ქართული სკოლებიდან თითო ასეული. აქავე არიან კლუბის მუშაკები ყველა სკოლებიდან.

სომხური სკოლის მუსიკა უკრავს „ჩობანს".

მეოცდაერთე სკოლის ასეულს ელოდებიან...

აზერბაიჯანის სკოლის კომისარი ამაყი ცხენით გარს უვლის შეკრებილებს.

ქართული სკოლის ეზოდან მოისმის სიმღერა: „გულს გვიკაჟებს ეს ქვეყანა გაყოფილი ორ ბანაკად"-ო

იგრიალა მეორე სამხედრო ორკესტრმაც და ოცდამეერთე სკოლელებიც გამოჩნდენ.

მცირე საუბრისა და დალაგების შემდეგ მთელი შეკრებილება გაემართა საშეფო სოფელ შიჯნისისაკენ (ბანაკიდან 5 ვერსის მანძილზე).

სომხებს მიჰქონდათ ქართული გაზეთები, რუსებს სანათი და ნავთი!

—

საღამო ღრუბლებმა დაჰფარა და ნამვა დაიწყო... სამხედრო სკოლების წარმომადგენლები შევიდენ სოფელ შიჯნისში.

მცხოვრებლები ზურნით შეეგებენ თავის შეფს... პატარა წვიმამ ვერავინ შეაშინა.

შიჯნისში სულ 60-მდე კომლი იქნება და მიტინგზე 200-მდე ქალი და კაცი შეიკრიბა. დაგვესწრენ გლეხები მახლობელ სოფელ ზეკოტადანაც.

მიტინგის წინ სომხეთის სამხედრო ორკესტრმა „შესაკრები" დაუკრა.

ილაპარაკეს სკოლების წარმომადგენლებმა.

ქართული სკოლის კომისარი ამხ. რამიშვილი შეეკითხა ხალხს: „ეგებ ვისმეს გაქვთ სათქმელი რაიმე, ან შეკითხვა".

საპასუხოდ გამოვიდა სოფელ შიჯნისის მცხოვრები, მოხუცი ქალი **სოფიო ბარბაქაძე.** მან განაცხადა, რომ—ჩვენ გავიგეთ საბჭოთა მთავრობა ვინც არის, უეჭველად გლეხების ინტერესებს იცავს; ჩვენაც ვებრძვით ყოველ ძველ ჩვეულებებს, რომლებშიაც ხეირი არა ჰყრია; ვიცით, რომ უნდა გავნათლდეთ,—შვილებსაც ვასწავლოთ, მაგრამ ჩვენ ყველაფერზე უფრო ფართალი გვაინტერესებს. უნდა ეცადოთ, დააჩქაროთ, რომ სიეფე ჩამოვარდესო!..

ამხ. რამიშვილმა სოფიო ბარბაქაძის სიტყვა რუსულად გადათარგმნა და სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

სიტყვები და საუბარი—სომხური სკოლის საზანდარით დამთავრდა. შემდეგ წაიკითხეს რუსულად და თათრულად ლექსები და იუმორისტული კუპლეტები (მიმიკით). დაიდგა ინსცენიროვკა: „გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!" (ქართულად). დაუკრა ოცდამეერთე სკოლის სიმებიან ორკესტრმა და შემდეგ გაიმართა ქართული სიმღერები...

ინსცენიროვკაში ადგილობრივი მცხოვრებნიც იღებდენ მონაწილეობას. საღამო-მიტინგი შეერთებული „ინტერნაციონალით" დასრულდა, რის შემდეგაც ხალხი მიწვეული იქნა ბანაკში—ოცდამეერთე სკოლის კინოზე.

სამხკორი **ჩვენი.**

## მეტი ყურადღება ჩვენს შვილო-ბილს!

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ქართულ ცხენოსან ლეგიონს, ნაშვილები ყავს ერთი ობოლი უპატრონო ბავშვი ლენინის სახელობაზე.

წითელ არმიელები „ლენინის შვილსაც“ კი უწოდებენ მას ხშირად.

ეს ბავშვი დაახლოებით ორი წლიწადია ლეგიონის მზრუნველობის ქვეშ. სწავლის მისაღებად ის მიბარებულია ლეგიონის მახლობელ შრომის სკოლაში.

მისი მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ლეგიონის უფროსობის შემადგენლობა იხდის თვიურად ოც-ოც კაპიკს, რომელიც ინახება ლეგიონის სალაროში.

სამწუხაროდ მას შემდეგ, რაც ლეგიონი გავიდა საბანაკოდ, ბავშვს ძლიერ მოაკლდა მზურნველობა. ის დატოვებული იქნა ყაზარმაში, ფეხშიშველი, ერთი რწყვილი საცვლების ამარა და ულოგინოთ.

სკოლაშიც ვეღარ დაიარება ფეხშიშველი. ფეხები სულ დაუსისხლიანდა. ხშირად დაინახავთ მას დაღონებულს სკამლოგინაზე წამოწოლილს; ღამესაც ამ მდგომარეობაში ათევს.

ბავვში ძლიერ უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ნუ თუ გაუჭირდათ მისი მოვლა? მაშინ არც უნდა ედოთ თავს მასზე მზრუნველობა.

ლეგიონის მესვეურებო, სირცხვილია ბავშვის ასე უყურადღებოთ მიტოვება.

დროა მიაქციოთ მას საჭირო ყურადღება.

სამხკორი **სარკე.**

## შეაკეთეთ წყლის მილი.

პირველი ლეგიონი უკვე ორი კვირაა რაც გავიდა საბანაკოთ. ყაზარმაში კი დარჩა მხოლოდ ახალწვეულებისაგან მეორე ასეული, რომელიც სარგებლობს პირველი ათასეულის ფეხისადგილით, სადაც სამწუხაროთ გაფუჭებულია წყლის მილი. განუწყვეტლივ გამოდის წყალი და ილვრება უნაყოფოთ.

წყლით სარგებლობა შეუძლებელი ხდება, და ესეც რომ არ იყოს მე მგონია თუ ზარალი არა, სარგებელი მაინც არ მოაქვს უნაყოფოთ წყლის დაღვრას.

კომენდანტო შეაკეთებინე ეს მილი.

სამხკორი **გუშაგი.**

## რადიოს მოყვარულთა კუთხე.

**როგორ უნდა მოაწყო რადიო მიმღები, როდესაც ხელ-თა გაქვთ სადგურისათვის საჭირო ნაწილები.**

როგორც ვამბობდით, რადიო სადგურის უმთავრესი შემადგენელი ნაწილებია:

კოჭი, რომელზედაც დახვეულია იზოლიაცია ქმნილი სპილენძის მავთული; გადასაკეტი, კონდენსატორი, დეტექტორი და ანტენა.

თუ ხელთა გვაქვს ეს ნაწილები, რადიო მიმღების მოწყობა ერთი წუთის საქმეა.

დეტექტორის სურათი და ზოგიერთი ცნობები მის შესახებ.

ამ ჟამად შევეხოთ თუ როგორ შეიძლება მიმღების მოწყობა. მის შემადგენელ ნაწილების თვისებებზე შემდეგ გვექნება საუბარი.

ვსთქვათ ხელთა გვაქვს ყველა საჭირო საგნები. შეუერთეთ ერთმანეთს ყველა ესენი



როგორც წესია. ამის შემდეგ მიმღები მზად არის (იხ. სურათი). სურათზე აღნიშნულ რადიო მიმღებ ნაწილების შეკრება უნდა მოახდინოთ ცალკე ფიცარზე და სასურველია ყველა ნაწილები და განსაკუთრებით დეტექტორი საიმედოთ იყოს მასზე დამაგრებული.

იზოლიაცა ქმნილ სპილენძის მავთულს (ისეთი როგორიც იხმარება ელექტრონის ზარისთვის) გაუწმენდთ თავს და შეუერთებთ კოჭის იმ ბოლოს, რომლიდანაც გამოდის ერთი ღერი მავთული. შემდევ კი ამას უერთებთ (სახლის კედელში გაყვანით) სახლის თავზე გამართული ანტენას. ყველა ამას უერთებთ გადასაკეტის მარჯვენა გვერდს (პატარა პრტყელი ფიცარი, რომელსაც კოჭიდან გამოსული ბევრი მავთულები უერთდება. კოჭის ეს ბევრი მავთულები უერთდება აგრეთვე ამ ფიცარზე მოთავსებულ კნოპკებს. აქვე ფიცარზე მოსჩანს გადასაწევი ჯოხი, რომელსაც უერთებთ მავთულს და აქედან მიდის წყალსადენ ონკანის საშვალებით მიწაში. (შეიძლება პირდაპირ თუთიას ფირფიტა ჩაფლათ ღრმად მიწაში და იმას შეუერთოდ ეს მავთული.)

შემდეგ გადასაკეტის იმ „კნოპკას“ რომელსაც შეერებულ აქვს ანტენადან გამომავალი მავთული, ისევე მავთულის საშვალებით უერთდება დეტექტორის ერთი ფეხი. (ფიცრის ზედა მხარე. ბინოკლივით რომ მოსჩანს).

დეტექტორის მეორე ფეხი კი უერთდება ელსმენის გამტარს; მეორე გამტარი კი უნდა შეუერთოდ გადასაკეტის ჯოხს. ხოლო ამ გამტარების ბოლოებ უერთესბთ კონდენსატორს. ამის შემდეგ რადიო მიმღები გახალებულია და შეუძლია რადიო ცნობების მიღება.

მაგრამ იბადება საკითხი, ასეთი წესით აგებული მიმღები, როგორ ღებულობს რადიო ცნობებს?

საჭიროა ელსმენის მილი მიიდგათ ყურზე, ხოლო დეტექტორის ზამბარა (პრუჟინა) ოდნავ მიაკაროთ კრისტალე ბის შემდეგ გადასაკეტის ჯოხის გადაწევით სხვა და სხვა „კნოპკებზე“ გადაწევით არკვევენ თუ რომელ „კნოპკაზე“ გადაწევით უფრო ძლიერად ისმის და ამ მდგომარეობაში სტოვებენ. შემდეგ ასეთივე წესით გამონახავენ კრისტალზე იმ წერტილს, რომელზედაც დეტექტორის ზამბარის მიკარება ყველაზე უფრო კარგი გარკვეულობით მოგვასმენიებს ბგერებს.

ამნაირად რადიო მიმღები მზად არის, სათანადო წერტილები უფრო გარკვეულ ბგერების მისაღებათ გამონახულია და რადიო ცნობების მიღება თამამად შეგიძლიათ.

## ახალი ამბავი.

— **თათბირის მოწვევა.** სამშაბათს, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია ექიმებისა და სამხ. კლუბთა უფროსების თათბირი სანიტარული გამოფენის შესახებ.

— **პოლიტ-მეცადინეობა.** ამ ჟამად კვლავ სწარმოებს მეცადინეობა არტ. ლეგიონის უფ. და პოლიტ. შემადგენლობასთან სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

— **პოლიტმომუშავის კაბინეთი.** წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბთან განზრახულია მოეწყოს პოლიტმომუშავის კაბინეთი.

— **ტრამვაის ხაზის გაყვანა** პასაჟ კროშკას ქუჩაზე დაჯდა 7.500 მანეთი.

—**აგარაკებზე გაგზავნა.** 1-ლ ივნისს დამთავრდება აგარაკებზე გამგზავნ საექიმო კომისიების მუშაობა.

— **საგლეხო სესხი.** ფ.-ტელ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ფ.-ტელეგრ. ყველა განყოფილებები ვალდებული არიან შეუდგენ საგლეხო სესხის განაღდებას.

— **ღვინის მოსავალი.** გასულ წელს საქართველოში მოვიდა 5 ნახევარი მილიონი ვედრო ღვინო.

— **სანიმუშო საფუტკრეების მოსაწყობათ** მეფუტკრეობის ბიურომ გადასწყვიტა მიმდინარე წლის განმავლობაში დახარჯოს 2.400 მანეთი.

— **სეტყვის წინაალმდეგ.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 15 ათასი ცალი სეტყვის საწინაალმდეგო შუშხუნა.

— **კანალიზაცია**' ალმასკომის სანიტ ტეხნ-განყოფილება შეუდგა კანალიზაციის მოწყობას 9 სამილიციო უბანში.

—**გლეხის ბიუჯეტის გამორკვევა.** 1-ლი ივნისიდან ტფილისის მაზრაში შეუდგებიან გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევას.

— **მევენახეობის აღდგენის** მიზნით ამერიკული ვაზების სადედეების მოსაწყობათ მიწად მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 64 ათასი მანეთი.

— **კირკის ქუჩაზე ტრამვაის** ხაზის გაყვანის შემდეგ, მოეწყობა ტრამვაის პირდაპირი მოძრაობა კირკის ქუჩისა და სახ. უნივერსიტეტს შორის.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ამუნდსენის ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.**

ამუნდსენი ცნობილი ნორვეგიელი მოგზაურია. მის უმთავრეს მიზანს ყოველთვის შეადგენდა დედამიწის ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენა, მაგრამ აქამდე თითეული მისი ცდა უშედეგოთ მთავრდებოდა. ამ უკანასკნელად ამუნდსენმა კიდევ მოაწყო ექსპედიცია. ორი ჰაეროპლანით გაეშურაჩრდ. პოლიუსისაკენ, მაგრამ როგორც იტყობინებიან გუშინდელ დეპეშებში, არავითარი ცნობები მისი მოგზაურობის შესახებ არ მოდის და ფიქრობენ ალბად ექსპედიცია დაიღუპა გზაშიო.

ამუნდსენი კუნძულ შპიცბერგენამდე გაემართა ორი გემით. კუნძულს მიაღწია დილით 6 მაისს და იმავე დღესვე შეუდგა კუნძულზე სათანადო პუნქტის გამოძებნას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ჰაეროპლანების გაფრენა მათთან კავშირის დაჭერა. მაგრამ ვერც ყინულოვანი „ბუხტა“ და ვერც მოხერხებული კონცხი ვერ იქნა აღმოჩენილი მის მიერ. ამუნდსენი შემდეგ იძულებული შეიქნა სხვა მხრივ წასულიყო. მან დანიის კუნძულებსა და შპიცბერგენს შორის აღმოაჩინა უფრო მოხერხებული ადგილი—ბუნებრივი ყინვით დაუფარავი არხები. როგორც იტყობინებოდენ ჰაეროპლანების აფრენა მოხდა ამ არხების სამხრეთის მხრიდან, რადგანაც სხვა მხრივ ყინვებია და შეუძლებელი იყო გავლაო. მას შემდეგ როდესაც გემებმა დასტოვეს „მეფის კონცხი“ სადაც იმყოფებოდა ამუნდსენი, ექსპედიციამ კიდევ ვერ მოახერხა გაფრენა, რადგან საჭირო იყო კარბიურიატორი.

მეტეოროლოგები აცხადებდენ, რომ ეს დაგვიანება უკეთესიც იყო, რადგან იმ დღეს ცუდი ამინდის ნიშნები იწყებოდა, ცა დაფარული იყო სქელ ღრუბლებით და იწყებოდა ძლიერი თოვლიანი ქარბუქი. ტემპერატურა დაეცა 12—15 გრ. ნულის ქვევით. ასეთივე ამინდი იყო 7 მაისსაც.

ცოცხალია თუ არა ამუნდსენი ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის. არავითარი ცნობა ექსპედიციიდან არ მოსულა.

**ზღვის უდიდესი სიღრმე და უმაღლესი წერტილი ზღვის ზედაპირიდან.**

ამ უკანასკნელ ხანებში უდიდესი სიმაღლის რეკორდ ჰაეროპლანით აიღო ფრანგ მფრინავ კალიზომ. ის ავიდა ჰაერში 12.067 მეტრის სიმაღლეზე.

უდიდესი სიღმე კი, რომელიც აღმოჩენილი იქნა ზღვაში ადამიანის მიერ უდრის 9.948 მეტრს. ეს ადგილი დაცილებულია იაპონიის სატახტო ქალაქიდან 200 კილომეტრით და იმყოფება წყნარ ოკეანეში.

უმაღლესი მთა კი მთელ დედამიწის ზურგზე ევერესტი (გიმალაის მთებში. აზია) ამაღლებულია ზღვის ზედაპირიდან 8.840 მეტრით.

## სამხედრო ტრიბუნალი.

**ბრძანების შეუსრულებლობისათვის.**

29 მაისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით, ამავე ტრიბუნალის დარბაზში განიხილა მე 6-ე ტერლეგიონის წვევამდელის ერვანდ ალექსანდრეს-ძის აკოფოვის საქმე, რომელსაც ბრალდება ბრძანების შეუსრულებლობა.

სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული აკოფოვი იყო სამეცადინოთ ა. წ. 16 მარტს წერტზე, მეცადინეობის დამთავრებისას, შევიდა კანცელარიაში დაუგდო სუფრაზე ასეულის თავს კანდელაკს წიგნაკი და უთხრა: „მე აწი არ მოვალ, რაც გინდა [მიქენიო“. ასეულის თავის ბრძანებაზე, წაეღო მას წიგნაკი—მან არ შეასრულა. ტრიბუნალმა მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელ სახლში მოთავსებით ერთი წლის ვადით, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და ის, რომ დანაშაული პირველად არის ჩადენილი, თანახმად ს. ს. კ. 28 მ. თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა ერთი თვემდე სასტიკი იზოლიაციის მოხსნით.

**დეზერტირობა ვითომ დაუდევრობით.**

ამავე დღეს ტრიბუნალმა განიხილა საქმე იმავე მე-6-ე ლეგიონის წვევამდელის სიმონ მოშიაშვილის, რომელსაც ბრალდებოდა დეზერტირობა. ბრალდებული მოშიაშვილი ყოფილა გაწვეული სამეცადინოთ მე-6-ე ლეგიონის წერტზე 1 მარტს, მაგრამ ხსენებული მოშიაშვილი არ გამოცხადებულა და განაგრძობდა დეზერტირობას ქ. ქუთაისში, სანამ არ იქნა მილიციის საშვალებით მოკითხული. თავის გასამართლებლად მოშიაშვილმა განაცხადა, რომ ის გაგზავნილი იყო ქუთაისში ობლიგაციების საყიდლათ ფინკომისარიატის მიერ და აგრეთვე არ იცოდა როდის იწყებოდა მეცადინეობა, რის საწინაალმდეგო აჩვენა დაკითხულმა მოწმემ.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას საჯარიმო გუნდში მოთავსება 6 თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია 20 მან. ღარებულობით.

**გნია.**

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** წითელი არმიელი, რომელიც უკვე მსახურობს, ჯარში ერთი წელიწადი და ავადმყოფობის გამო გათავისუფლებულია სამი თვის ვადით, ეძლევა თუ არა მას ტანისამოსი და ფეხსაცმელი თან წასაღებათ თუ არა?

**ნ. ოზ.**

**პასუხი.** დროებით დათხოვნილ წითელ არმიელებს არავითარი ტანსაცმელი არ ეძლევა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წითელ არმიელს ნაწილში არ გააჩნია თავისი საკუთარი ტანსაცმელი, მაშინ მას ნაწილიდან ეძლევა ძველი, ნახმარი ტანსაცმელი.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.